



სოფელი ღონიერია...

საკუთარი ძალებით

ჩანს, ტუნგოს, მანდარინის პლანტაციები და სიმინდის ყანები მიგაცილებს ღონიერის რუსთაველის სახელობის აგროსამრეწველო კომბინატამდე. ადრე აქ ჩანს საბჭოთა მეურნეობა იყო კომბინატად კი მის შემდეგ გადაკეთდა, რაც ჩანს მიკროფაბრიკა აშენდა და მეურნეობამ შეძლო საკუთარი ნედლეულის გადამამუშავება და რეალიზაცია.

აქ ყოველი მტკაველი მიწა ტექნიკურ კულტურას უჭირავს, თანაც რელიეფი ოდრო-ჩოდროა. ამიტომ ახალგაზრდებს ერთი ხეივანი სპორტული მოედანი არ ჰქონდათ, ბავშვები პატარა მოსწორებულ ადგილზე თამაშობდნენ, ბურთს ერთ კარში ურტყამდნენ, რადგან მეორის გამართვის საშუალება არ იყო.

რამდენიმე წლის წინათ აქ მესხები ჩამოსახლეს, ადგილობრივებმა მათ მეგობრობაც გაუწიეს და მეზობლობაც — სახელმწიფო ხარჯებით აუშენეს კაპიტალური საცხოვრებელი სახლი, გამოუყვეს საკარმიდამო ნაკვეთი. მიუხედავად ამისა, რა დასამალა და, ზოგიერთმა მიინც დატოვა აქაურობა.

მოსახლეობის უკმაყოფილობის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ თავისუფალ დროს გართობისა და დასვენების საშუალება არ ჰქონდათ — თქვა კომბინატის დირექტორმა გურამ ლემონჯავამ, რადგან რაიონისა და სოფლის ცენტრს მოსწორებული ვართ. კულტურული ღონისძიებების ჩატარებას კი ვახერხებდით, მაგრამ ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობისთვის რა მოგვეხერხებინა? არც ბავშვი გვქონდა და არც ფიზკულტურის მეთოდისტი აწუხებდა თავს. სხვა გზა არ იყო, ხელი გამოვიღეთ, მოვწყვეთ ფეხბურთის და ფრენბურთის მოედნები. ამ საქმისთვის 56

ათასი მანეთია გამოყოფილი. მშენებლობას ვავაგრძელებთ, მეთოდისტიც ახალი მოვიწვიეთ.

— ვინ იფიქრებდა აქ ფეხბურთის მოედანი თუ გაიმართებოდა, — თქვა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბენო სიქინავამ. — მონღოებით იმუშავებს ახალგაზრდებმა. მოზრდილი ფერ-ლობი მოასწორეს, გაასუფთავეს, სხვებთან ერთად კომბინატის დირექტორიც ხალისით ჩაება მუშაობაში.

ახლა მოედანზე სათამაშოდ მოსულს შეუძლია შხაპი მიიღოს. აქვეა მეთოდისტის და მსაჯის ოთახები. სპორტული ინვენტარის საწყობი. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ფიზკულტურებს სჭირდება.

იქნებ ნადარევი იყოს ახლადდანიშნული მეთოდისტის გენულის სიქინავას ქება, მაგრამ არ შეიძლება კარგი დასაწყისი არ შევუფასოთ. რამდენიმე აგროგანყოფილებაში უკვე ჩაბარეს მშენებლობის ივეები, მოეწყო შიგასაკონსტრუქციო შეჯიბრებები ფეხბურთში, ფრენბურთსა და ჭადრაკში. ფეხბურთელთა გუნდმა წარმატებით ისაპარება რაიონის პირველობაზე, ახალგაზრდული მოედანზე ფიზკულტურის მოყვარულები სისტემატურად იკრიბებიან სავარჯიშოდ. მეთოდისტმა თავად შესთავაზა მათ უფასო სამსახური.

— ახალმოსახლენი თუ მოდიან თქვენთან, — ვეკითხები სპორტ-მეთოდისტს, როგორ არა, — მიპასუხა მან. ისინი ყველა ღონისძიებაში მონაწილეობენ. ორი მთავანი კომბინატის ფეხბურთელთა გუნდში თამაშობს, ჩვენც ყველა პირობას ვუქმნით.

ნუგზაა შხანია, „ლელოს“ საქ. კორ. ჩხორიწყუს რაიონი.

ლახტის წრავი




ბულდოზერმა უკან დაიხია და ის იყო მინიფეხბურთის მოედანზე აღმართული კარისკენ დაიძრა, რომ მოულოდნელად წინ ხელიხელჩაკიდებული ბიჭები გადაუდგინეს.

— აბა, ახლავე მოუსვით აქედან, — ცოტა არ იყოს შემკრთალი ხმით დაუყვირა მეზულდოზერმ ბიჭებს. — ფეხსაც არ მოვიცვლით, რატომ გვინგრევთ მოედანს? — ყინჩად შეეპასუხა ერთ-ერთი.

მეზულდოზერე მამაშვილურ ტონზე გადავიდა და კიდევ ერთხელ სცადა ბიჭების გზიდან ჩამოშორება, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მის სიტყვებს ძალა არა ჰქონდა.

ეს ამბავი ორიოდე კვირის უკან მოხდა ვაშლიჯარის დასახლებაში. უფრო ადრე კი მე-14-ა და ბ. კორპუსის ბინადრებმა გადაწყვიტეს თბილქალაქპროექტის მიერ გასაკეთებელი საქმე გაეკეთებინათ — ერთ კვირა დღეს კორპუსის გვერდით მდებარე გორა მოანგრის, ადგილი მოასწორეს, მოედანზე ფეხბურთის კარები დადგეს, კალათბურთის ფარებიც მიიტანეს, მაგრამ ის იყო ბულდოზერიც აგუგუნდა. დაუნდობლად მიწვდა ხუთი თვის ნაშრომ-ნაამაგარს. საქმეში უფროსები ჩაერივნენ. სულ მალე გაირკვა, რომ საქართველოს ნავთობ-გაოფიციის ტრეტის გამართვითი ცენტრისკენ გზა გაყვანა მაშინ დაიწყეს, როდესაც მოსახლეობამ ათობით ტონა მიწა გაწვდა იმ ადგილზე მოედნის მოსაწყობად.

იჭაურობა გულდასმით დავათვალიერეთ, აღმოჩნდა, რომ სადავო მოედნის უკან გზა ჩადის. აქ გაყვანული ტრაზა უფრო ადვილად შეუერთდებოდა ცენტრალურს, თანაც მანქანები მე-14 კორპუსის ფანჯრების წინ არ ჩაივლიდნენ გუგუნით.



ასე გამოიყურება მოედანი დღეს.

ამას წინათ ბათუმში საქართველოს ლია ჩემპიონატი ჩატარდა ჩოგბურთში, მერე კი ვეტერან ჩოგბურთელთა ტრადიციული საკავშირო ტურნირი გაიმართა, რომელმაც ამ თამაშის მოყვარულთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ბათუმში ჩოგბურთის პოპულარობა იზრდება, ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ახლა აქ ჩოგბურთის ჯგუფებში სამეგრე მეტი ნორჩი მეცადინეობს, ვიდრე ორი წლის წინათ, შეიძლება იმის იმედი ვიქონიოთ, რომ უახლოეს მომავალში აქაც აღიზრდებიან მაღალი რანგის ოსტატები, ისეთები, როგორიც ერთ დროს ვეტერანთა ამ ტურნირის მონაწილენი იყვნენ. თუმცა მათ თამაშს ჯერაც არ დაჰკარგვია ის პეწი და მომზიბველობა, რითაც ჩოგბურთი გვიზიდავს. დაბ, ტურნირი მარტო ვეტერანთა ოსტატების გაღვება კი არა, დამწყებთათვის სანიმუშო გაკვეთილი იყო.

ბათუმში სასპორტო ჩამოვიდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ტალინის, კუნსასის, თბილისის, ოდესის 60-ზე მეტი სპორტსმენი. მათ შორის იყვნენ ჩოგანის ისეთი აღიარებული ოსტატები, როგორიცაა თბილისელი თომას ლეიუსი, ვერობის ჩემპიონი, კიევის სპორტკლუბ „ლოკომოტორის“ ფეროსი მჭერთელი მარინა კროშინა, უიბლდონის ტურნირის პირველი საბჭოთა მონაწილე, ლენინგრადის პირველი მეთოდოლოგიური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაი ანდრეი პოტანინი და სხვები.

— ვეტერან ჩოგბურთელთა ბათუმის ტრადიციული ტურნირი მისასალმებელი წამოწყებაა, — თქვა ა. პოტანინმა, — იგი საკავშირო სპორტულ ონისძიებათა კალენდარშიც არის შეტანილი. პირადად მე მას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ერთი იმედი, რომ ამ ტურნირზე საშუალება გვეძლევა კვლავ შევხვდეთ ერთმანეთს ძველი გვარდიის წარმომადგენლები. მეორეც: ტურნირი ჩოგბურთის პროპაგანდის საუკეთესო საშუალებაა. კორტებზე მო-

გიჭაბი გულდოზერს გადამუშავებ

ამავე ტრეტის მშენებლობის უფროსი დიმიტრი კიკნაველიძე:

— შეილება და შეიძლება შევქმნათ ჩემთვის ადგილი არ არის ამ მოედნის დანგრევა, მით უმეტეს, რომ ამ დასახლებაში არც ერთი სპორტული მოედანი არ არის. მზად ვარ შევანერო სამუშაოები, თუ პროექტს შეცვლიან.

თბილქალაქპროექტის მთავარი



თუ გზა მარჯვნივ ჩაუხვევს, მოედანი გადარჩება.

არქიტექტორის მოადგილემ ოთარ არევაძემ გვთხოვა საშვიდონებრო ზემის შემდეგ მივსულიყავით ამ საკითხზე სასაუბროდ.

— მეორე ვარიანტზე, ცხადია, ჩვენც ვიფიქრებთ, მაგრამ ეს გზა შედარებით არაკონომიური იქნება, თუმცა, მართალი ბრძანდებით, მოსახ-

სილენი ანტიკუნიტი უნდა გაეფიქროს. თუ უფროსები გვიტყვიან, პროექტის შეცვლა ძნელი არ არის.

ახეთი გულისხმიერი პასუხის შემდეგ იმედინად დავტოვეთ თბილქალაქპროექტის შენობა. მაგრამ... მთავარი არქიტექტორის მოადგილემ ოთარ არევაძემ შეორბე მისულთ ასეთი პასუხი გაგვცა: — გზას თუ მიმართულებას შე-

ვცვლით, სხვა კორპუსების მოხაზვლები ავაციანდება. თუ მათ დაითანხმებთ, პროექტს შეცვლით. ჩვენთვის ცოტა არ იყოს გაუგებარია ბატონ ოთარის პოზიცია. თუკი სპორტული მოედნის დანგრევის არ გვეშინია, თანაც მე-14 კორპუსის ფანჯრების ქვემოთ გაყვანა გზა, იმ კორპუსების მოსახლეობას, რომელთაც გზა უფრო მოსწონებოდა იქნება, რისთვის უფროსი ხელისუფლებით? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ არქიტექტორებს იმის შესვენება სჭირდებათ, რომ სპორტული მოედნები მშენებარე კორპუსებთან ერთად უნდა დაპროექტდეს. სამწუხაროდ, ამ ანბანურ კვლევებში ჩაბარა. ვაშლიჯარში რომ მთავორიანი რელიეფია და აქ მოედნების მოწყობა ძვირი დაქვდება, ეს ცხადია, მაგრამ ნუთუ ჩვენს შვილების განმრთელობა უფრო ძვირად არ გვიღირს? — ვამბა ბასრაძე.

P.S. გუშინწინ რედაქციაში დავვირეკე, ვაშლიჯარის დასახლებაზე ბულდოზერი კვლავ აგუგუნდა, იქნებ გვიშველოთ.

ახლა სამდურავი ალარ ეთქმით

ამ ორი წლის წინ „ლელოს“ რედაქციამ ხაშურის რაიონის სოფელ ფლევიდან წერილი მიიღო. ფიზკულტურის მეთოდისტი მხოლოდ ხელფასის აღებისას მოდიან, მუშაობის ჩაშლისთვის მას პასუხს არავინ სთხოვს. იქნებ გაზეთმა უშველოს ჩვენს გასაჭირს? — გმწერდნენ ახალგაზრდები. დაუყოვნებლივ გავემგზავრეთ ფლევიში.

აი, რა გვითხრა მაშინ მეურნეობის დირექტორმა ნანი ხაჩიძემ.

— საქმე აქამდე არ უნდა მიგვეყვანა. მეთოდისტი რამდენჯერმე ვავაფრთხილებ იმის იმედით, რომ დღეს ან ხვალ მდგომარეობას გამოასწორებდა. მაგრამ ამოდ... მერე ვავათავისუფლებ და მის ნაცვლად სპორტის ოსტატს, მოქილავე ომარ ტეფნაძე მოვიწვიეთ. „სპარტაკის“ ყოფილ ჩემპიონს ამ სფეროში მუშაობის საკმაო გამოცდილება ჰქონდა. პირველ ხანებში საქმეს გულსყურობით მოეკიდა, მოედნები მოაწესრიგა, სექციები ჩამოაყალიბა, რაიონულ შეჯიბრებებში ჩააბა ფლეველი სპორტსმენები.

ორი წლის შემდეგ კვლავ ვიწვიეთ ფლევის. გვანტერესებდა, განმტკიცეს თუ არა პოზიციები ფიზკულტურელებმა? იწვიტყვეთ, რომ ომარ ტეფნაძე გაუთავისუფლებიათ ფიზკულტურის მეთოდისტის თანამდებობიდან.

ამ საქმეში გამოცდილება უკვე მივიღეთ. ასე რომ, პასუხისმგებლობის მოღულებსათვის ტეფნაძე და-

უყოვნებლივ ვავათავისუფლებთ და სპორტის ოსტატი არჩილ მამულაძე მოვიწვიეთ. „ახალ კაცს“ ჯერჯერობით წინამორბედებზე კარგი პირობები უნდა. თუ კალენდარულ დღეებში სექციებში მუშაობს, თავისუფალ დროს თავისი ფიზკულტურულ-ახალგაზრდული ბრიგადით ბაღში გამოდის და მოსავლის აღებაში გვეხმარება. ყოჩაღი ბიჭია, თუ ასე ვავაგრძელა მუშაობა, ფლეველ სპორტსმენთა სახელი რაიონის ფარგლებს გასცდება. კარგი ფალავნები გვყავს. ბაქარ ტეფნაძემ ახლახან საქართველოს ჩემპიონი გახდა ქართულ ჭიდაობაში, მამუკა მისიურაძე კი ძიულდოში საბჭოთა კავშირის ჩემპიონია ჭაბუკთა შორის.

დღესდღეობით ფლეველ ფიზკულტურელებს სამდურავი არავის მიმართ არ ეთქმით. მეურნეობის დირექცია; პარტიული, პროფკავშირული და კომპაგნიური ორგანიზაციები ყურადღებას არ აქლებენ მათ და ამიტომ ახალგაზრდები შრომაშიც მოწინავეობენ და სპორტშიც. მეურნეობის ცენტრში მალე დამთავრდება ახალი კლუბის მშენებლობა და ძველი კლუბი ფიზკულტურელთა განკარგულებაში გადავა. აქ მოაწყობენ მოქილავეთა სავარჯიშო დარბაზს, დააბინავენ სექციებს.

ილია თევდორაშვილი, „ლელოს“ ზონალური კორესპონდენტი.

კორცეზა-ვეტერანები

ქალთა ერთეულებში შეუდარებელი იყო კიეველი მარინა კროშინა, რომელმაც ფინალში ანგარიშით 6:2, 6:3 დაამარცხა ჩვენი თანამემამულე ნინო თუხარა. მესამე ადგილი წილად ჰვდა ტალინელ ინი ლოიტ-იაკოვლევას.

ერთეულთა ასპარეზობაში ვაქები ორ ასაკობრივ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. 35-45 წლამდე ასაკის სპორტსმენთა ასპარეზობის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კიეველი მიხეილ ვესევეი და ტალინელი რეინ უუსვიკაი. გამარჯვა კიეველმა (6:3, 7:6). მესამე პრიზიორი გახდა პეტერ ლამპი (ტალინი).

45 წელს გადაცილებულთა ფინალში თბილისელმა თომას ლეიუსმა (6:2, 6:2) დაამარცხა კუნსასელი სტასის ლაბანაუსკასი, მოსკოველი იური ხობლოვი მესამე ადგილზე გავიდა. ვაჟთა წყვილების ფინალში ლეიუსი — ლიბმის დუეტმა (6:2, 6:7, 6:2) მოუგო ლაბანაუსკასს — ვადიმ შაპირის (მოსკოვი) წყვილს. მესამე საპრიზო ადგილი ვესევე — გაბრიელ შევერინის (მოსკოვი) წყვილმა დაიპყრო. მიქსტი (შერეული თანრიგი) უძლიერესი იყო კროშინა-ვესევეის

დუეტი, რომელმაც ფინალში სძლია (6:1, 6:1) თბილისელს თუხარაუსასა და ლეონიდ მინარიშვილს. მესამე ადგილზე გავიდა ტალინელთა წყვილი ლოიტ-იაკოვლევას-ოსინ ლიუსი.

დიდი ინტერესი გამოიწვია ეგრეთ წოდებულ „მოყვარულების“ გამოსვლაში. ისინი ცალკე ასპარეზობდნენ. მოყვარულები ჰქვიათ მათ, ვინც ჩოგბურთს განმრთელობისათვის, საკუთარი სიამოვნებისათვის თამაშობს, ოფიციალურ შეჯიბრებებში

აღვილი თბილისელმა ფერანდო მისაძემ დაიკავა. — ვაჟთა წყვილებში მასპინძლობა შოთა ახვლედიანმა და ნუგზარ ბურჭულაძემ ყველა მეტოქე დაჯანსაღეს და ფინალში თბილისელ ტყუპმაშებს ირაკლი და ნიკოლოზ თოფურაძეებს სძლიეს; მესამე ადგილზე ესტონელები არნო ვესკი და ანტონი სტრახოვი გავიდნენ.

ლევან პაპუაშვილი, „ლელოს“ კორ.





ბ. კასპაროვი - ა. კარაკოვის მამი

პეტიციონები პარტია

მსოფლიო ჩემპიონმა ამჯერად ინგლისური დასაწყისის იმ ვარიანტის მიმართ, რომელიც მატჩის მე-2 და მე-4 პარტიებში გათამაშდა...

გთავაზობთ მე-16 პარტიის ჩაწერას.

ბ. კასპაროვი - ა. კარაკოვი

ინგლისური დასაწყისი

- 1. c4 e5 2. მც3 მფ6 3. მფ3 მც6 4. გ3 კხ4 5. კგ2 0-0 6. 0-0 გე8 7. d3 კ:3 8. bc e4 9. მდ4 ხ6 10. de მ:e4 11. ლც2 d5 12. cd ლ:d5 13. e3 მა5 14. f3 მდ6 15. e4 ლც5 16. კე3 მც4 17. კფ2 ლე7 18. გად1 კდ7 19. f4 გად8 20. e5 კგ4 21. მფ5 ლე6 22. ვ:d8 ვ:d8 23. მდ4 ლც8 24. f5 e5 25. ლე4 cd 26. ლე4 მ:e5 27. ლე2 მც6 28. cd მ:d4 29. კ:d4 ვ:d4 30. f6 ლე6 31. ლხ2 ლე3+ 32. მფh1 ხ6 33. fg მც4 34. ლც2 მფ:გ7 35. კდ5 მდ6 36. ლხ2 ლე5 37. კხ3 ა5 38. ლფ2 f5 39. ლხ2 ხ5 40. ა3 მფგ6. თეთრები დანებდნენ.

გოლოსინა-პენსრა

ჩაკალ-ვილი (აშშ). საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა აქ ამერიკული ტურნეს ბოლოსწინა მატჩი ჩაატარა ჩრდილოეთ კაროლინის გუნდთან.

ბრძოლა პირველიდან უკანასკნელ წუთებამდე საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობდა, თანაც საგრძნობ უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია.

ყველაზე შედეგიანი კალათბურთელთა ჩვენს გუნდში იყვნენ: ტარაკანოვი - 15 ქულა, მარჩიუ-ლენისი და ხომიუსი - 13-13 ქულა.

მშპ-ს ქალაქებში ჩატარებული ცხრა შეხვედრიდან ჩვენმა კალათბურთელებმა ექვსი მოიგეს და სამი დამთეს.

„ბალტიკა“ უმაღლეს ლიგას ტოპებს

საბრძოლო დამთავრდა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი იმ გუნდებისთვის VII-XII ადგილებისთვის რომ იბრძოდნენ.

დასკვნითი ტურის წინ შავი ზღვის მეზღვაურები „ბალტიკას“ ოთხი ქულით უსწრებდნენ.



ცანა წარმატებით გადაჭრეს და ჩემპიონატის ბოლოს მთავარ კონკურენტს 7 ქულით გადაუსწრეს.

Table with chess scores: კვგ (მაქო) 27 13 0 14 227-240 26, „მოსკვინი“ 27 10 4 13 210-218 24, „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) 27 7 6 14 179-212 20, „დინამო“ (კიევი) 27 5 6 16 213-242 16, კვგ (სევ.) 27 5 3 19 182-240 13, „ბალტიკა“ (ლენ.) 27 2 2 23 205-308 6

ახალი მსოფლიო ჩემპიონი

მას შემდეგ, რაც განთქმულმა მოკრივემ, მსოფლიო ჩემპიონმა საშუალო წონის პროფესიონალთა შორის რეი შეგერ ლეონარდმა თვალების სერიოზული ავადმყოფობის გამო უარი თქვა თავის წოდებაზე და მიატოვა რინგი, ორგანიზაცია „უორლდ ბოქსინგ ასოციაციის“ გადაწყვიტა მისი მემკვიდრის გამოცხადება.

პრეტენდენტთა 15-რაუნდიანი მატჩი ქულებით მოიგო კალამბა-იმ, რომლის გამარჯვებამ სამივე მსაჯმა აღიარა. კალამბა იტალიის მესამე მოქალაქეა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა საშუალო წონაში.

რედაქტორის მოადგილე უ. ზიზინაძე.

თბილისის სპორტის ხანძარში 26, 27, 28 ნოემბერი. ქალბატონი ამხანაგური შეხვედრები „დინამო“ (თბილისი) - ცხაბ (მოსკოვი). დასაწყისი 20 საათზე.

ინფორმაცია

პაპაძე, 24 ნოემბერი. ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა ფეხბურთელმა პორტუგალიის „პორტო“, კონტინენტის სუპერთასის პირველ მატჩში მეტოქის მინდორზე ანგარიშით 1:0 დაამარცხა თავისი მფლობელთა თასის მფლობელი პოლანდიის „აიაქსი“ (ამსტერდამი).

მაღარიძე. 19 ქულა დაგროვა აღდგრა - მადრიდის „რეალმა“, რომელმაც ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში ანგარიშით 2:0 მოუუგო „სანტადელს“. 16 ქულით მეორე ადგილზეა მადრიდი „ატლეტიკო“.

„სპორტპროგრესი“

1-X, 2-2, 3-1, 4-2, 5-2, 6-2, 7-1, 8-2, 9-X, 10-1, 11-2, 12-2, 13-2.

მისწერ პარანა

ცენტრალური ბელარუსია. 26 ნოემბერი. დილის ტანვარჯიში - 9.00 (2); რიტმული ტანვარჯიში - 19.45 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ქალბრუნებში - 20.00 (1).

ახალი ფიქრობს კავიტანი

ფინანსური ქალთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგ, რომელშიც გდრ-ის გუნდმა საბჭოთა კავშირის ნაკრები დაამარცხა, გამარჯვებული კოლექტივის კაპიტანმა, 22 წლის არიანა რაულ-ფანმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: ჩემპიონები იმიტომ გავხდით, რომ ფავორიტად არავინ გვთვლიდა.

რომელი გამარჯვება იყო უფრო დასამახსოვრებელი? - გამარჯვება, რა თქმა უნდა ყოველთვის სასიხარულოა, მაგრამ ჩვენ ნამდვილ ჩემპიონად თავს მხოლოდ მაშინ ვთვლით, როცა საბჭოთა ნაკრებს ვუგებთ.

ყველაფერი მასობრივი ფიზკულტურისათვის

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში მასობრივი ფიზკულტურის კიდევ ერთი მძლავრი ბაზა შეიქმნა. საცურაო გამაჯანსაღებელ კომპლექსს, რომლის მშენებლობა 1991 წელს დამთავრდება, ერთი 50-მეტრიანი დახურული აუზი, დარბაზი, ერთი ლია და რამდენიმე სასწავლო აუზი ექნება. აქვე გაშენდება ავტომანქანების სადგომი, დასასვენებელი პავილიონი და რამდენიმე კიოსკი.

პრალაში მასობრივი ფიზკულტურის განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა. ქალაქის ყველა რაიონშია კალენდოსკოვი

მინი-სტადიონი, აუზები, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, დიდი და მცირე ჩოგბურთის კორტები, სატანვარჯიშო და მძლეოსნური კომპლექსი.

გაზროვნება და გაყოფილება

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მასობრივი სპორტის განვითარებით და საორტულ აღჭურვილობათა სიახლეებით პირველი რიგში სპეციალიზებული გამოცდნები და საერთაშორისო ბაზრებები არიან დაინტერესებულნი. მათ შორის ყურადღებას იქცევს დიუსელდორფის საერთაშორისო გამოცდნა „იხტა“.

ზოგიერთი ბაზრობა პოპულარობას ახლა იხვევს. კიოლში, მაგალითად, გაიხსნა ბაზრობა, რომელიც პროპაგანდას უწყევს „ჯანსაღი ცხოვრების წესს“. ნიურნბერგის გამოცდნის თემატიკა კულტურისში და ძალისმიერი ტანვარჯიში იყო. აქ ერთმანეთს შეხვდა ფირმების 1.300-ზე მეტი წარმომადგენელი და ასობით სპორტსმენი.

პირველად სოფიაში

სოფიაში, „ვისილ ლევსკის“ სტადიონზე პირველად გაიმართა ფეხბურთელ ქალთა გუნდების მატჩი. ერთმანეთს შეხვედნენ ბულგარეთისა და ესპანეთის წარმომადგენლები. შეხვედრამ, ყველასათვის მოულოდნელად, დიდი ინტერესი გამოიწვია. სტადიონზე 30 ათასამდე გულშემატკივარი მოვიდა, მეტწილად მამაკაცები.

როგორც პრესაში აღინიშნა, მეტოქეთა ძალები თანაბარი იყო და მატჩიც ფერდ - 1:1 დამთავრდა. ესპანელები უფრო ტექნიკური იყვნენ, ბულგარელები - ფიზიკური და ძლიერნი.

ბულგარეთის მწვერთვის იანკო დინკოვის აზრით, მის გუნდს თამამად შეუძლია საერთაშორისო ტურნირებში ითანამშრომლოს.

კალენდოსკოვი

რინგზე ჩატარდება. ყოველ შემთხვევაში, ათენში 1989 წლის ტურნირის წინასწარი მატჩები (მეთხუთმედიანამდე) ამ წესით გაიმართება. საერთაშორისო ფედერაციის აზრით, სიახლე მიზნად ისახავს კონკრეტულ ამოცანას - შეჯიბრებების ხანგრძლივობას მინიმუმამდე შემოკლებს, ადრე გერბობის ჩემპიონატი 10 დღეს ვრძელდებოდა, ათენში კი იგი 28 მაისს დაიწყება და 2 ივნისს დამთავრდება.

სპორტის სიყვარული

ნიკარაგუელებს ამერიკული იმპერიალიზმის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლას რომ აწარმოებენ ცხადია, ეკონომიურად უჭირთ, მაგრამ სპორტზე უარს მაინც არ ამბობენ. ამის შესახებ ისაუბრა ნიკარაგუის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ემეტ ლანგმა ჰავანაში ბეისბოლისტთა საკონტინენტაშორისო თასის გათამაშების შემდეგ.

ჩვენი ხალხი, - თქვა მან, - სამართლიანად ამაყობს ბეისბოლისტების წარმატებებით. სპორტის ეს სახეობა ჩვენში ყველაზე პოპულარულია და მას ათობით ათასი ახალგაზრდა ეტანება. ნიკარაგუელებს სურთ მშვიდობიანი ცხოვრება ჰქონდეთ, რათა სპორტს, ფიზიკურ კულტურასა და ჯანმრთელობის გაკავებას მეტი დრო და ენერჯია დაუთმონ, მაგრამ პოლიტიკური ვითარება მათ ამის საშუალებას ვერცხვრებით არ აძლევს. ამიტომ ჩვენს ახალგაზრდებს ცალ ზელში შაშხანა უჭირავთ, მეორეში კი ბეისბოლის გობი.

წახედი მისხარბაძე: წერილებსთვის - 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დებეშებისთვის - თბილისი, „ილელო“.

„ედაპენის ბელაფონები: წერილების განყოფილება - 93-97-55, სამდივანო - 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება - 93-97-53, „მერანი“ - 93-97-26, „მარტვი“ - 93-97-27.

83951 056230 86438

საქართველოს კვ ცვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენის ტანამა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

საქართველოს სპორტსაქომაის ფეხბურთის სამმართველო, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია და ვეტერანი ფეხბურთელები იუწყებიან, რომ ვარაუდობენ თბილისის ოფიცერთა ხალხის ოსტატთა გუნდის ყოფილი მთაბაშიე გიორგი ერმილეხ ძე ნიკურაძე და თანაგრძნობას უცხადებენ განხევებულის ოჯახს.